

„35“ „აპრილი“ 2018 წელი

ერთმანეთთან გრძელვადიანი და პარტნიორული ურთიერთობების განვითარებისა და განათლებისა და მეცნიერების სფეროში ურთიერთთანამშრომლობის სურვილიდან გამომდინარე, სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“), რომელსაც წინამდებარე მემორანდუმის მიზნებისთვის წარმოადგენს რექტორი, პროფესორი თეონა ხუფენია და სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“ (შემდგომში საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“), რომელსაც წარმოადგენს დირექტორი ლაშა ხახუტაიშვილი, ვდებთ წინამდებარე მემორანდუმს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

### მუხლი. 1

#### მემორანდუმის საგანი

1.1. მემორანდუმის საგანს წარმოადგენს მხარეთა სურვილი, ითანამშრომლონ განათლების სფეროში სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის. ამ მიზნით, დაეხმარონ ერთმანეთს გამოცდილების გაზიარებასა და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განხორციელებაში.

1.2. მემორანდუმში შესატანი ცვლილებები შეიძლება წარმოადგენილ იქნეს ნებისმიერ მხარის მიერ და დაემატოს შეთანხმებას.

### მუხლი. 2

#### მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. მემორანდუმი საგანს წარმოადგენს მხარეთა მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ფარგლებში თანხმდებიან შემდეგზე:

ა) ერთი და იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტთა მობილობის პროცესის ორგანიზება და ხელშეწყობა;

ბ) პროგრამების განმახორციელებელი და ადმინისტრაციული პერსონალის გამოცდილების ურთიერთგაზიარება;

გ) ერთობლივი საგანმანათლებლო, შემოქმედებითი პროექტების (კონფერენციები, გამოფენების, მასტერკლასები და სხვა) და მათში მონაწილეობის მიღება.



დ) სასწავლო ბეჭდური გამოცემებისა და ელექტრონული ფორმის მასალების გაცვლა.

### მუხლი. 3

მემორანდუმის მოქმედების ვადა

3.1. მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით. მემორანდუმი შეიძლება შეწყდეს წერილობითი შეტყობინების საფუძველზე ნებისმიერი მხარის მიერ.

### მუხლი. 4

სხვა პირობები

4.1. მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად.

4.2. ნებისმიერი ის საკითხი, რომელიც არ არის რეგულირებული წინამდებარე მემორანდუმით, შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა მოლაპარაკების გზით.

4.3. წარმოდგენილ მემორანდუმს შეიძლება დაემატოს უფრო დეტალური სამუშაო გეგმა და განახლდეს დაგეგმილი პროექტების მიხედვით.

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო  
სასწავლო უნივერსიტეტი  
რექტორი

თეონა ხუფენია

მისამართი: ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. № 14



სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ახალი ტალღა“  
დირექტორი

ლაშა ნახუტაიშვილი

მისამართი: ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა  
№ 154

